პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 20 (10414)

სამშაბათი, 24 იანვარი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომლებიც მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად

იმ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის თათბირის მონაწილეების მიმართვა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენს თათბირზე ლირსშესანიშნავ დროს. აქ, კრემლში, დარბაზში, სადაც ჩვენ ვიღებთ ამ მიმართვას, მალე დაიწყებს მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ შესანიშნავი მოვლენის წინ ჩვენ, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელს, ბევრი რამ გვაქვს, რაც შეგვიძლია მოვახსენოთ ჩვენს მშობლიურ პარტიას — დიდი კომუნისტური მშენებლობის ბელადსა და სულისჩამდგმელს.

ყოველ ჩვენგანს ახსოვს დღეები, როდესაც კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დიდებული პროგრამა. ეს იყო ძრძნული და გაბედული პროგრამა — იგი გვიჩვენებდა სწორ გზას იმისათვის, რომ უფრო სწრაფად წავწიოთ წინ მარცვლეულის წარმოება, ამ საფუძველზე ავამაღლოთ მეცხოველეობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის, ხოლო ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის.

და აი ის, რაც ჩაწერილი იყო პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში, განხორციელდა: 30 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები მოხნულია, ემსახურება სამშობლოს ინტერესებს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას.

350 ათასზე მეტმა ახალგაზრდა პატრიოტმა მიიღო კომკავშირული საგზური, გაემგზავრა ციმბირის, ყაზახეთის, ურალის, ვოლგისპირეთის თვალუწვდენ ველებზე. ერთიმეორის მიყოლებით წავიდა ამ რაიონებში ტრაქტორებიან, ავტომობილებით, საშნი მასალებით დატვირთული ათასობით ეშელონი. რა დიდი სიხარულით და კეთილშობილური პატრიოტული სიამაყით აღიავსო ჩვენი გული იმის გამო, რომ ჩვენს ძლევამოსილ საბჭოთა სამშობლოს შესწევს უნარი უმაგალითოდ მოკლე ვადაში განახორციელოს დიადი გეგმები, როგორიც არ ახსოვს ისტორიას! სულ ორი წლის განმავლობაში ველის სივრცეებზე შეიქმნა 425 ახალი საბჭოთა მეურნეობა — მარცვლეულის დიდი ფაბრიკები, ათობით მანქანა-ტრაქტორთა სადგური, აშენდა ათასობით საცხოვრებელი სახლი, სახელოსნო, გარაჟი, სხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

თვითეულ ჩვენგანს დიდ პატივად მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს პარტიის საბრძოლო დავალების შესრულებაში. ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ყველაფერს ადვილად და დაუბრკოლებლად ვაკეთებთ. არა, ჩვენ გვიხდება დიდ სიძნელეთა დაძლევა, მუდმივი ბრძოლა ბუნების ძალების წინააღმდეგ. მკაცრია აქაური ზამთარი, რომელსაც ახასიათებს ძლიერი ყინვები, ქარი, ქარბუქი, ხოლო ზაფხულის თვეებში უნდა ეშრომო განთადიდან დაღამებამდე, თორემ დაავგვიანებ, უმოსავლოდ დარჩები. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ქორწილში არ მივდიოდით! მტკიცე ხასიათის ადამიანებმა მოიყარეს თავი ახალ მიწებზე. მათ არ სჩვეიათ სიძნელეთა წინაშე უკან დახევა. და არც იხევენ უკან! მოკლე ხნის განმავლობაში ყამირი მიწების ახალგაზრდა ახალმოსახლეთა უმრავლესობა გახდა თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი — ტრაქტორისტი, კომბაინერი, მეცხოველე, მებოსტნე, მშენებელი.

მაგრამ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია უდიდესი საქმისა. მომავალ გაზაფხულზე ახალ მიწებზე უნდა დაითესოს 30 მილიონ ჰექტარზე მეტი. ჩვენი მოვალეობაა გატეხილი ყამირის მთელ ფართობზე მოვიყვანოთ უხვი მოსავალი. ხოლო ეს თავისთავად როდი მოვა, საჭიროა კიდევ უფრო დაძაბულად და გულმოდგინედ ვიშრომოთ იმისათვის, რომ უხვი და მყარი მოსავალი მოვიპოვოთ.

ამჟამად ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავენ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ჩვენ, ისევე როგორც მთელ ჩვენს ხალხს, მიგვანია, რომ ეს დოკუმენტი დამაჯერებლად გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უძლეველ ძალასა და ძლიერებას, კომუნიზმისაკენ წინსვლის დიდებულ პერსპექტივებს.

დირექტივების პროექტში დასახულია სოციალისტური მიწათმოქმედების მკვეთრი აღმავლობის დიადი გეგმები. 1960 წელს ჩვენმა ქვეყანამ 11 მილიარდ ფუთამდე უნდა გაადიდოს მარცვლეულის საერთო მოსავალი. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი წილი გვეკისრება ჩვენ და თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ პირობას ვაძლევთ კომუნისტურ პარტიას, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას მთელი ჩვენი ძალები და ცოდნა მოვახმაროთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთან ერთად პირნათლად შევასრულოთ პარტიის ეს საბრძოლო დავალება.

შეგნებული გვაქვს რა მომავალ სამუშაოთა სირთულე და სიდიადე, მოვუწოდებთ მთელ ახალგაზრდობას, რომელიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე მუშაობს, ყაირათიანად გამოიანგარიშოს თავისი შინაარეზერვები და შესაძლებლობანი, უფრო ფართოდ დანერგოს მოწინავე გამოცდილება, რათა თვითეული საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი და კოლმეურნეობა გახდეს სანიმუშო, რენტაბელური, მაღალშემოსავლიან მეურნეობად.

მოვუწოდებთ ყველა მშრომელს, რომელნიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე მუშაობენ, თავის დროზე და ჩინებულად შეასრულონ ტრაქტორები და მთელი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, დროზე შეზიდონ საწვავი, მეტი თოვლი დაავროვონ მინდვრებში, შეაკავონ ლანქერის წყალი, სათეს კონდიციამდე აიყვანონ თესლი, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მოაწყონ საგაზაფხულო თესვა. მინდვრის სამუშაოთა პირველი დღიდან ვეცდებით გადაჭარბებით შევასრულოთ ცვლის გამომუშავების ნორმები, შევამციროთ შრომის ხარჯვა თვითეული ჰექტარის დამუშავებაზე!

მექანიზატორები უნდა დაეუფლონ მშენებელთა პროფესიებს, ხოლო მშენებლები უნდა ემზადებოდნენ იმისათვის, რომ მინდვრის სამუშაოთა ცხარე დღეებში გახდნენ მთესველები, მომბმელები, შოფერები, მტვირთავები, მზიდავები. თესვა, მოსავლის აღება, მშენებლობა ჩვენი საერთო საქმეა, ამხანაგო მშენებლებო და მექანიზატორებო!

გასულ წელს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ბევრმა მეურნეობამ პირველად დათესა სიმინდი. ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ არაბელსაყრელ ამინდშიც კი სიმინდი კარგ მოსავალს იძლევა ეს, სადაც მას უნარიანად უვლიან. მაგალითად, ალტაის მხარეში სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდათა რგოლმა კლიუჩევსკაიას მტს-ის ტრაქტორისტ პავლე მონასტირიოვთან თანამშრომლობით თითო ჰექტარზე აიღო 30 ცენტნერი ტარო და 150 ცენტნერი მწვანე მასა, ხოლო კუსტანაის ოლქის მოლოტოვსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ვასილ დოკუჩაევის ახალგაზრდათა რგოლმა 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 32 ცენტნერი ტარო და 400 ცენტნერი მწვანე მასა.

ამხანაგებო. დავეუფლოთ სიმინდის მოყვანის მოწინავე აგროტექნიკას, მივნდოთ ეს საქმე ყველაზე გამოცდილ და ენერგიულ ადამიანებს, მოვიყვანოთ წელს ამ ძვირფასი კულტურის საუკეთესო მოსავალი!

ბევრმა ახალმა საბჭოთა მეურნეობამ ათეულ ათასობით ჰექტარი დაამუშავა კოლმეურნე მეცნიერის — მცდელ ტერენტი სიმონის-ძე მალცევის მეთოდით და ასეთ მინდვრებში გაცილებით მეტი მოსავალი მიიღო, ვიდრე ჩვეულებრივი წესით დამუშავებულ ნაკვეთებზე. ბევრი რამ ახალი შემოაქვთ სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეებსაც. ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო ბეჯითად ვნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ პროდუქციის ერთეულზე შრომის ხარჯვის შემცირებისათვის. მეტი იაფი პური მივცეთ ჩვენს ქვეყანას!

მოვუწოდებთ ყამირი მიწების ყველა კომკავშირელს, მთელ ახალგაზრდობას ყოველმხრივ და გულმოდგინედ მოემზადონ მოსავლის აღებისათვის, უზრუნველყონ, რომ თვითეულმა 15-ფუტიანმა კომბაინმა დღეში სულ ცოტა 20 ჰექტარი დაამუშაოს, ფართოდ გამოიყენონ მოსავლის ცალცალკე აღება, მოაწყონ ავტოტრანსპორტის ზუსტი მუშაობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მექანიზებული კოლონების მოწყობაში, მარცვლეულის საწყობების, მარცვლეულსახმობებისა და ელევატორების მშენებლობაში.

მარცვლეული, რა თქმა უნდა, მთავარია, გადამწყვეტია. მაგრამ, ყოველი ღონისძიებით გავადიდებთ რა მარცვლეულის წარმოებას, ამავე დროს ყამირ მიწებზე უნდა განვავითაროთ მეცხოველეობა, გავაშენოთ ბაღები და ბოსტნები. მაშ, ამხანაგებო, ენერგიულად მოკიდოთ ხელი ამ საქმეებს, გავამრავლოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი, ცხვარი, ფრინველი, მივაღწიოთ მათს მაღალ პროდუქტიულობას. მივცეთ სახელმწიფოს არა მარტო მეტი პური, არამედ აგრეთვე მეტი რძე, ერბო-კარაქი, ხორცი, მატყლი, ბოსტნეული, ხილი.

სტუმრებად, „მესეზონეებად“ როდი ვგრძნობთ თავს ახალ ადგილებში. ბევრი ჩვენგანი აქ უკვე თითქმის ორი წელიწადია ცხოვრობს. ძლიერ შეგვიყვარდა ჩვენ ვრცელი ველები. და რომ უკეთ მოვიწყოთ აქ, ველში გადავიტანოთ ქალაქის კულტურა, რომ გარდანაც კი ჩანდეს — აი ახალ დაბებში სოციალისტური ქალაქის წარმოგზავნილები ცხოვრობენ, კარგად, საამურად ცხოვრობენო, — ჩვენ მოგმართავთ თქვენ, ახალგაზრდა მეყამირეებო, მოწოდებით უფრო აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, საავადმყოფოების, სასადილოების, მაღაზიების მშენებლობაში.

დაე ჩვენთვის მაგალითი იყოს კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ურნეკსკის“ ახალგაზრდა ახალმოსახლენი, კომკავშირელები და ახალგაზრდობა, აქ ახალგაზრდათა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიქტორ ფომიჩევი მეთაურობს, დაამზადა 500 ათასი ცალი აგური. რვა ქალიშვილმა მოსკოვის ფოსტამტის ყოფილი მუშაკის ნინო აბრამოვას მეთაურობით საძირკველი ჩაუყარა სკოლას, საავადმყოფოს, ორ საერთო საცხოვრებელს. ახალგაზრდათა სამმა ბრიგადამ დაამზადა 12 ათასი კუბური მეტრ ლელი — ხუთჯერ მეტი, ვიდრე გეგმით იყო დასახული. მუშაობისაგან თავისუფალ დროს ახალგაზრდობამ ააგო კლუბი, ბოსტნეულსაცავი, დახმარება გაუწია ამხანაგებს აეგოთ რვა ინდივიდუალური სახლი. ხოლო სულ ამ სეზონში აშენებულია 20 ოთხსართიანი სახლი, ოთხი საერთო საცხოვრებელი, სამასზე მეტი ინდივიდუალური სახლი, შვიდწლიანი სკოლა, სპორტული ბაგები, მაღაზიები, აბანოები, სასადილო, პურის საცხობი, ელექტროსადგური, მარცვლასაცავი, აგურის ქარხანა. შენდება ათწლიანი სკოლა, კულტურის სახლი, წიდა-ბეტონის ქარხანა. საბჭოთა მეურნეობის დაბა ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

ჩვენ მივმართავთ ყამირი მიწების მშენებლებს, მექანიზატორებს, მთელ ახალგაზრდობას მოწოდებით:

ვაშენოთ მთელი წლის განმავლობაში; გამოვძებნოთ და ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები; მოვაწყოთ ჩვენთან აგურის, ალიზის, საკედლე ბლოკების კეთება, გავაუმჯობესოთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შევამციროთ მათი თვითღირებულება!

ბევრი საბჭოთა მეურნეობის დაბა უკვე ახლა ახარებს თვალს, მაგრამ ისინი უფრო ლამაზი გახდებიან, თუ გავაშენებთ ბაღებს, გავამწვანებთ ქუჩებს, მოვაწყობთ ყვავილნარებს. ამ საქმეში ღირსეულ მაგალითს გვიჩვენებს სარატოვის ოლქის ჩერნიშევსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლსკის“ ახალგაზრდობა. ამ საბჭოთა მეურნეობებში გაშენებულია 10-12 ჰექტარი ბაღები. აკმოლინსკის ოლქის მაიაკოვსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში იზრდება 22 ჰექტარი ახალგაზრდა ბაღი. ახე შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იქნეს ყველგან: დავრგოთ ამ გაზაფხულზე მეტი ხეხილი და კენკრა!

დროა შევუდგეთ გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობას. ჩვენ მოვუწოდებთ ახალგაზრდობას ახალ საბჭოთა მეურნეობებში 1956-1957 წლებში ააგონ სულ ცოტა 500 გუბურა და წყალსატევი. მოვაშენოთ იქ თევზი, ბატი, იხვი!

ჩვენ ბევრი კარგი ფიქრი და დიდი გეგმები გვაქვს. პარტია და მთავრობა ყოველგვარ დახმარებას გვიწევენ და მხარს გვიჭერენ, მაგრამ მთავარი დამოკიდებულია თვით ჩვენზე, ჩვენს ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე.

ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ, როგორც დაუსწრებლად სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაჟიშვილები და ქალიშვილები ალტაის მხარის საბჭოთა მეურნეობა „პოსპელიხინსკიდან“, ან საღამოს სკოლაში, როგორც საბჭოთა მეურნეობა „ურნეკსკის“ ახალგაზრდობა სწავლობს. გულმოდგინედ ავიმაღლოთ აგროზოოტექნიკური ცოდნა, ამისათვის შევქმნათ წრეებისა და კურსების ფართო ქსელი, ჩავაბათ მათში მთელი ახალგაზრდობა. ჩვენ შეგვიძლია ყველგან განვდევნოთ კლუბებიდან მოწყენილობა, თუ მოვაწყობთ მხატვრულ თვითმოქმედებას, შევქმნით მომდერალთა, დრამატულ, მოცეკვავეთა წრეებს, ფრენბურთელთა და მოთხილამურეთა გუნდებს, კრიფის, მძლეოსნობის სექციებს. საჭიროა მხოლოდ გავანძრიოთ ხელი და მოვიხაზროთ, და მაშინ კარგად, მხიარულად, კულტურულად გავატარებთ თავისუფალ საათებს.

ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურად გრძნობს მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერას. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების ახალგაზრდობა დიდძალ საჩუქარს გვიგზავნის. ჩვენ მოგვდის გულთბილი წერილები დიდი საბჭოთა სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

ყველა ახალმოსახლის სახელით დიდი მადლობა თქვენ ამისათვის, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო! მოდით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, გავაჩაღოთ შემოქმედებითი შეჯიბრება, საწარმოო გამოძახება ჩვენს კოლექტივებს შორის.

ათასობით საწარმო ასრულებს დაკვეთებს ყამირი მიწებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქარხნების კომკავშირული ორგანიზაციები ამ დაკვეთების შესრულებას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ. ახალგაზრდა ტრაქტორმშენებლებსა და მანქანათმშენებლებს ყველა მუშასთან ერთად შეუძლიათ მნიშვნელოვნად დაჩქარონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაკვეთების შესრულება, საკმარისად უზრუნველყონ ახალი საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები სათადარიგო ნაწილებით.

მოგმართავთ თქვენ, საშენი მასალების საწარმოთა ახალგაზრდა მუშებო: მეტი გამოუშვით ცემენტი, სახურავი და სხვა მასალა — ისინი ძალიან ესაჭიროება ყამირს!

ჩვენ მოვუწოდებთ ხელოვნებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს: უფრო ხშირად ჩამოდით ჩვენთან ყამირ მიწებზე კარგი კონცერტებითა და სპექტაკლებით, დაგვეხმარეთ უკეთ მოვაწყოთ მხატვრული თვითმოქმედება!

ძვირფასო ამხანაგებო, კომკავშირელებო, ჭაბუკებო და ქალიშვილებო, რომლებიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას ეწევით!

ჩვენ ახალგაზრდები და ძლიერნი ვართ, ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის. აღვნიშნოთ კომუნისტური პარტიის XX ყრილობა საგაზაფხულო თესვისათვის ჩინებული მომზადებით, ახალი წარმატებებით შრომაში, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს და იფურჩქნებოდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ნაცად მებრძოლ ბელადსა და ხელმძღვანელს!

ყამირი მიწები—ხალხის სამსახურში

დამთავრდა თათბირი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში

21 იანვარს დილით თათბირზე გრძელდებოდა კამათი ამხანაგების ი. ა. ბენედიქტოვის, ვ. ვ. მაკკევჩის, ა. ნ. შელეპინის მოხსენებათა გამო.

სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ი. კ. კოზიულინამ** განაცხადა, რომ სამინისტრო ეწევა 310 საბჭოთა მეურნეობისა და 198 მტს-ის მშენებლობას. გასულ წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 500 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, 182 მაღაზია, 205 სასადილო და ბევრი სხვა ობიექტი. მაგრამ ახალ მიწებზე მშენებლობის სახელმწიფო გეგმა შესრულებული არ არის. ეს იმით აიხსნება, რომ სამინისტრო უშვებდა სერიოზულ შეცდომებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილებაში, კადრების შერჩევასა და განლაგებაში და ა. შ.

სიტყვა ეძლევა ჯამბულის ოლქის ჩონპარის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტს **ს. ზაგიზიანოვს.** იგი ლაპარაკობს საბჭოთა მეურნეობის წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია მოწინავე ტექნიკით კარგად აღჭურვის მეოხებით.

შემდეგ გამოვიდა სარატოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბელოპოლიეს“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ნ. გრაჩიხა.** იგი ლაპარაკობს თუ რა წარმატებები აქვს მის ბრიგადას, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდათა სატრაქტორო ბრიგადების საოლქო შეჯიბრებაში.

სტატუკა იღებს აკმოლინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზარიას“ აგრონომი **ვ. მურაშოვა.** 5 თებერვალს, ამბობს იგი, სრულდება საბჭოთა მეურნეობა „ზარიას“ წლისთავი. ერთი წლის განმავლობაში გატეხილია 12.200 ჰექტარი ყამირი. იქ, სადაც შიშველი ველი იყო, ახლა აშენებულია დაბა თეთრი სახლებით, განიერი ქუჩებით, ელექტროგანათებით.

თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს **ტ. დ. ლისენკოს.**

— ახალი მიწების დიდი მასივები ჩვენი ქვეყნის გვალვიან რაიონებში მდებარეობს, — ამბობს ამხ. ლისენკო. — ამიტომ თქვენთვის, მექანიზატორებისათვის, ბრიგადირებისათვის, აგრონომებისათვის, მთავარია რაც შეიძლება მეტი ტენი დააგროვოთ ნიადაგში.

აკადემიკოსმა თქვა, რომ ანეულის სწორი აგროტექნიკური დამუშავება, მზრალად ხვნა, განსაკუთრებით ციმბირის ველიან რაიონებში, სიმინდის კულისებად თესვა თოვლშეკავებისათვის — აი ის ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა შეასუსტონ გვალვის დამღუპველი გავლენა.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **პ. ნ. კორობოვა,** ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის მალენკოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სამშენებლო უბნის უფროსი **ტ. ხ. სატაროვი,** რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი **ტ. ა. იურკინი** და სხვ.

4 საათზე დაიწყო თათბირის საღამოს სხდომა. [illegible] **შილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიკოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, ნ. ა. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ბ. არისტოვის, ნ. ი. ბულგანინის, პ. ნ. პოსპელოვის, დ. ტ. შეპილოვის** გამოჩენას პრეზიდიუმში ახალგაზრდობა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება. ყველანი ფეხზე დგებიან.

სიტყვას იღებს კუსტანაის ოლქის ჯარკულის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ლ. დეგტიარენკო.** ორი წლის წინათ სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ბედის ახალგაზრდა ადამიანები დაიძრნენ ყამირის ასათვისებლად, ამბობს იგი. არასოდეს არ დამავიწყდება 28 აპრილი, როდესაც პირველი კვლები გავიყვანეთ ყამირზე. პირველად საქმე არ გამოგვდიოდა, გვიტყდებოდა სახნისები, ვერ ვასრულებდით ნორმებს. მაგრამ იქაური ძველი მცხოვრებლების დახმარებით მექანიზატორები სწრაფად შეეთვისნენ ახალ პირობებს, ერთიორად გადააჭარბეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიურ გეგმას. ახალმოსახლეთა უმრავლესობა აქ დაოჯახდა, მოიწყო მუდმივ საცხოვრებლად.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად და გულითადად შეხვდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

— ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მოგესალმოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რომლის მოწოდებით თქვენ შეუდექით ისეთ სახელოვან საქმეს, როგორიც არის ყამირი მიწების ათვისება. **(მქუხარე ტაში).** ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და მოგილოცოთ შესანიშნავი წარმატებები, რომლებიც თქვენ მოიპოვეთ თავდადებული შრომის მეოხებით. ყამირი მიწების ათვისების ამოცანა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, შეიძლება ითქვას, ძირითადად გადაჭრილია. და მოხნულია არა 13 მილიონი ჰექტარი, როგორც ჩვენ ვამბობდით მოწოდების დღეებში, არამედ გაცილებით მეტი. ახლა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში უკვე მოხნულია 30 მილიონი ჰექტარი, ხოლო მთელ ჩვენს ქვეყანაში 33 მილიონი ჰექტარი. **(ტაში).**

ეს ძალიან კარგია! ჩვენ რომ აგვერჩია ყამირის ათვისების გზა ახალ რაიონებში ადამიანთა ჩვეულებრივი გადასახლებით, ორი ხუთწლედიც არ გვეყოფოდა ამდენი მიწის ასათვისებლად. ხოლო როცა ჩვენ გამოვყავით ტექნიკა ყამირი მიწებისათვის და, გვქონდა რა თქვენი მგზნებარე გულის იმედი, მივმართეთ ახალგაზრდობას, კომკავშირელებს, რომლებმაც აქტიურად დაუჭირეს მხარი პარტიის მოწოდებას, აღმოჩნდა, რომ ეს ამოცანა მოკლე ვადაში გადაწყდა ისე, რომ არ ყოფილა განსაკუთრებული სიძნელეები. **(ტაში).**

მე ვფიქრობ, რომ თავდადებული შრომა, რომელიც თქვენ მოახმარეთ ამ კეთილშობილურ საქმეს, დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაში, და ის ახალგაზრდობა, ის კომკავშირელები, რომლებიც წავიდნენ ყამირ მიწებზე, დიდხანს იამაყებენ სასახელო საქმეებით, რაც მათ შეასრულეს ყამირი მიწების ათვისებისას.

მე მინდა, ამხანაგებო, მადლობა გითხრათ თქვენ, მადლობა ვუთხრა კომკავშირს, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ყველა კომკავშირულ, პროფკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციას, რომლებმაც ხელი შეუწყეს ადამიანთა შერჩევას ყამირის ასათვისებლად. მინდა ვთქვა, რომ მათ სასახელო საქმე გააკეთეს. ახლა საჭიროა არ შევანელოთ ყურადღება ყამირისადმი, საჭიროა განვაგრძოთ ეს მუშაობა, რომ მიწები უკეთ ავითვისოთ და კარგი პური მოვიყვანოთ ამ მიწებზე.

საჭიროა შევინარჩუნოთ იქ ადამიანები, მოვაწყოთ ისინი, ხოლო ამისათვის უნდა შევქმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ეს მთავარია! საჭიროა ავაშენოთ კარგი სახლები. ახალმოსახლენი გაიჩენენ ოჯახებს, შვილებს.

ამიტომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა უნდა იზრუნონ ადამიანებისათვის. მე ვიცი, რომ ყველა ადამიანის კარგად მოწყობა არც თუ ისე ადვილი საქმეა, რომ აქ არ კმარა მარტო სურვილი, რომ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ეს ამოცანა მაინც უნდა გადავჭრათ.

თქვენ წაიკითხავდით, ამხანაგებო, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ხომ კარგი დირექტივებია?

ხმები ადგილებიდან: ძალიან კარგია.

ამხ. ხრუშჩოვი: ყველა პატიოსან ადამიანს ახარებს ეს დირექტივები; ისინი ხედავენ, რომ ეს არის ფართო გზა, რომლითაც ჩვენი პარტია და მთელი ხალხი მიდიან დასახული მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო, ეს ძალიან სასიამოვნოა, განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენთვის — უფროსი თაობის ადამიანებისათვის, რომლებიც აქტიურად ამზადებდნენ და ახორციელებდნენ პირველ ხუთწლედს. ჩვენ ვიცით, თუ როგორ დასცინოდნენ, მაშინ ბურჟუაზიული ეკონომისტები, ჟურნალისტები და სხვები ხუთწლედს, ფანტაზიად მიიჩნევდნ იგი, ამბობდნენ, რომ ეს სიგიჟეა, რომ აქედან არაფერი არ გამოვა, როგორ შეუძლია ღარიბ გლეხურ რუსეთს ხუთწლიანი გეგმა განახორციელოს და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანები გადაწყვიტოსო.

ჩვენ მათ მივეცით საგნობრივი გაკვეთილი. ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის სიტყვა და საქმე ერთია, და ახლა მეექვსე ხუთწლედის გეგმის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ არ აღმოჩნდა არც ერთი გიჟი, რომელიც თავს ინუგეშებდეს იმ აზრით, რომ ჩვენი გეგმები განუხორციელებელია. პირიქით, ბურჟუაზიულ სამყაროში გაისმის შეშფოთებული ხმები საბჭოთა სახელმწიფოს უმაგალითო ეკონომიური განვითარების შესახებ. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირი ამ ხუთწლედსაც წარმატებით შეასრულებს. კაპიტალისტებს ჩამორჩენილად მიაჩნდათ ჩვენი ხალხი. ამჟამად კი ჩვენ უფრო მეტი ინჟინერი, ტექნიკური ინტელიგენცია გვყავს, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანას. ხოლო მეექვსე ხუთწლედში კიდევ უფრო მეტი გვყოლება. და ეს იმპერიალისტებს აშინებს, მათ აშინებს ის, რომ ჩვენ ვქმნით ჩვენს კადრებს.

კადრები კი ჩვენში ძალიან კარგია, მაგრამ ყოყოჩობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: აი ახლა ამბობთ — კარგი კადრები გვყავსო, შემდეგ კი აკრიტიკებთ. ეს მართალია, ერთიც და მეორეც სწორია **(ტაში)** იმიტომ, რომ კადრები მართლაც კარგია, მაგრამ კარგი კადრებიც უნდა ვაკრიტიკოთ იმისათვის, რომ ისინი კიდევ უკეთესი გახდნენ. აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა.

ახლა, ამხანაგებო, ჩვენი შემდგომი მუშაობის შესახებ ყამირ მიწებზე. პირველ პერიოდში, როცა ახალი საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა, ცალკეული მეურნეობები შეიქმნა ნაჩქარევად და არცთუ სავსებით ხეირიანად: უხეიროდ აირჩიეს მიწა არა მარტო ნალექების ოდენობის, არამედ აგრეთვე დამლაშების მხრივ. ასეთ საბჭოთა მეურნეობებში, შესაძლებელია, უფრო მიზანშეწონილი იყოს მარცვლეული მეურნეობის შეცვლა მეცხოველეობით. არსებული შენობები გამოდგება ამისათვის. ასეთი საბჭოთა მეურნეობისაგან სახელმწიფო მიიღებს არა ხორბალს, არამედ ნაზ მატყლს. განა ეს ცუდია? ეს ძალიან კარგია. საძოვრები, რომლებიც არის ასეთ საბ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

რომ მათ ყველაფერი, რასაც მოიტანენ, შეუძლიათ თვითონვე იყიდონ. **(სიცილი. ტაში).**

ამხანაგო კომკავშირელებო! თქვენ დიდი შემართება გაქვთ, მაშ აღმართეთ თქვენი მახვილი ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ისე, როგორც ენერგია გამოიჩინეთ ყამირის გატეხაში. განა არ შეიძლება უფრო მკაცრად მოვექცეთ ბიუროკრატებს, რათა ყამირი გავწმინდოთ ამ სარეველებისაგან, რომლებიც უკვე ანაგვიანებენ მას? **(მქუხარე ტაში).** ეს ჩვენთვის მხოლოდ სასარგებლო იქნება.

აი აქ ზის ბრიგადირი ამხ. დეგტიარენკო, იგი კარგად გამოვიდა. მაგრამ მის წინადადებაში, რომ უთუოდ საჭირო არიან ბრიგადირების თანაშემწენი, უნდა გავერკვეთ. თქვენ წაიკითხეთ „პრავდაში“ კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების გზის“ თავმჯდომარის ამხ. არეპიევის სტატია? ეს იყო ერთი კვირის წინათ, თუ არ წაგიკითხავთ — წაიკითხეთ, რაზე წერს იგი. არის ასეთი თანამდებობა — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის თანაშემწე. წელიწადი რომ დამთავრდა, აი ასეთი თანაშემწე მივიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ამხ. არეპიევთან. მათ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

თანაშემწე: მე ბრიგადირის თანაშემწე ვარ, გადამიხადეთ ფული.

თავმჯდომარე: მე თქვენ მთელი წელიწადი არ მინახავხართ კოლმეურნეობაში.

თანაშემწე: ამას მნიშვნელობა არა აქვს, შტატში ვირიცხები.

თავმჯდომარე: ბოდიში, მაგრამ თქვენ ხომ კოლმეურნეობაში არ გიმუშავნიათ.

თანაშემწე: დიახ, არ მიმუშავნია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მე უკვე მოგახსენეთ. მე მერგება 3.600 მანეთი.

და მიიღო. ხოლო რამდენია ასეთი თანაშემწე ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. ძალიან ბევრი.

თქვენ ასეთები არა გყავთ?

ხმა დარბაზიდან: გვყავს!

გასინჯეთ, თქვენც გყავთ ასეთები. **(სიცილი დარბაზში).** რაო, ამხ. დეგტიარენკო, ეს კაცი ზედმეტია თუ არა?

ამხ. **დეგტიარენკო:** ზედმეტია!

თქვენ კი თქვით, „საჭიროა მოვიფიქროთო“. აი თქვენ უკვე გყავთ ზედმეტი კაცი. ეს ხომ ზედმეტი საშტატო ერთეულია! ამიტომ თუ იგი ზედმეტია ერთ კოლმეურნეობაში, აღბათ ასეთი ზედმეტები სხვა კოლმეურნეობებშიც არიან. ასეა, ამხანაგებო? მაშასადამე, ისინი უნდა გავათავისუფლოთ! დაე ხელი მოჰკიდონ პატიოსან შრომას და პატიოსნურად მიიღონ მუშაობისათვის ის, რაც ერგებათ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. არეპიევი ამბობდა: „როცა ამ თანაშემწემ ფული მიიღო, მე შევნიშნე: როგორ არა გრცხვენია ფულის მიღება, შენ ხომ არ გერგება?“ მან კი მიპასუხა: „ეჰ, რა სირცხვილზე მელაპარაკები? ცხოვრება უნდა იცოდე!“ აი ესეც პასუხი! და ეს ხდება ჩვენს საბჭოთა პირობებში მოსკოვის მახლობელ კოლმეურნეობაში.

უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა შტატების შემცირებისათვის, რათა ზედმეტი ადამიანები არა გვყავდეს. და თქვენ, ამხანაგო მინისტრებო ბენედიქტოვ და მაცკევიჩ, უნდა გადასინჯოთ შტატები, უნდა განთავისუფლდეთ ზედმეტი ადამიანებისაგან. ზედმეტი ერთეულები უნდა ამოიშალოს ამ შტატებში, მაშინ საბაბიც არ ექნება ასეთი შემთხვევებისათვის.

შემდეგ ამხ. ხრუშჩოვი ლაპარაკობს მოწინავე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების ინიციატივაზე, შრომის ორგანიზაციის ახალ ხერხებზე, რომელიც ხელს უწყობენ შრომის ხარჯვის შემცირებას. მაგალითისათვის შეიძლება გამოგვადგეს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების გზა“, რომელმაც ძროხების სამჯერ-ოთხჯერ წველის ნაცვლად შემოიღო ორჯერ წველა და დადებითი შედეგები მოიპოვა.

ჩვენში, ამბობს ამხ. ხრუშჩოვი, ბევრნი ძროხას დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ წველიან, ამბობენ, რძის უკანასკნელი წვეთები ბევრ ცხიმს შეიცავსო. ჰო და ისინიც წველიან ამ წვეთებს. წვეთებს გროშის ფასი აქვს, ხოლო ისინი, ვინც ამ წვეთებს წველის, ამაში მანეთს იღებენ. რა აზრი აქვს ასეთ გამოწველას? აქვს მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ პასუხს არ აგებენ იმისათვის, თუ რა ღირს რძე. ეს არ ვარგა, ამხანაგებო, არ ვარგა!

და აი იმავე არეპიევმა — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების გზის“ თავმჯდომარემ — სწორი დასკვნა გააკეთა. მან გააუქმა ძველი წესი ფერმაში. მან 28-30 ძროხა მიუჩინა თვითეულ მწველავს, და ძროხები ნაწყენი როდი დარჩნენ იმის გამო, რომ მათ წველიდნენ არა სამჯერ-ოთხჯერ დღეში, არამედ მხოლოდ ორჯერ — მათ არათუ არ დაუკლიათ რძე, არამედ კიდევაც მოუმატეს. აბა, გამოიანგარიშეთ, ამხანაგებო, რამდენს მოგვცემს ეს, თუ ასეთი ღონისძიება განხორციელდება ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში?! ეს კი, ამხ. მაცკევიჩ და ამხ. ბენედიქტოვ, საჭიროა გაკეთდეს. თქვენ იცნობთ ამგვარ გამოცდილებას საზღვარგარეთ და ჩვენში საქმე მაინც ძველებურად მიდის: საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში როგორც იყო მრავალჯერადი წველა, ისევე დარჩა. უნდა გადავიდეთ ორჯერ წველაზე.

ამხანაგებო, უნდა ვიფიქროთ ყამირ მიწებზე სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემაზე. ძალიან საინტერესოა მალცევის სისტემა. უკვე ახლა უნდა ვემზადოთ მოსავლის ცალცალკე აღებისათვის. იგი უფრო ნაყოფიერია, მარცვლის ნატურა უკეთესი გამოდის და პური უფრო იაფი ჯდება.

საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა საბჭოთა მეურნეობებისადმი, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ადამიანებს, რომლებიც იქ შრომობენ, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ვაჭრობაში. მე მაქვს წერილები ყამირ მიწებზე ცუდი ვაჭრობის შესახებ, მაგრამ არ წავიკითხავ მათ. ჩვენ დავავალებთ გამოიკვლიონ ფაქტები და დასაჯონ დამნაშავენი.

საჭიროა გაუმჯობესდეს ვაჭრობა, მუდამ იყოს ყველა რაიონში საჭირო საქონელი, სასპორტო ინვენტარი, საოჯახო საგნები. ყოველივე ეს „ცენტროსოიუზმა“ უფრო ყურადღებით და ოპერატიულად უნდა გააკეთოს. მას შტატი დიდი ჰყავს, ხოლო შედეგი ჯერჯერობით არა ჩანს. **(სიცილი დარბაზში).**

შემდეგ ამხ. ხრუშჩოვი ეხება საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხებს.

თქვენ მანქანები გაქვთ, ამბობს იგი, ტრაქტორები და საწვავი გაქვთ, მინდვრები მოხნულია. ყველა პირობა მოიპოვება იმისათვის, რომ სწრაფად შეასრულოთ თესვის სამუშაოები. თქვენში გვაქვია ნი ზონაა, ამიტომ თესვის გაჭიანურება არამც და არამც არ შეიძლება. ყველაფერი სწრაფად და კარგად უნდა გაკეთდეს, და მოსავალიც მოგივათ.

ამხანაგებო! კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გაწსნამდე რამდენიმე დღე დარჩა. ჩვენი პარტია, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი ამ დღეებში ენთუზიაზმით შრომობს. ყველა ისწრაფვის დიდი შრომითი წარმატებებით შეხვდეს ყრილობას.

ყველა ჩვენი ადამიანი დიდი ინტერესით სწავლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. თქვენ იცით, თუ რა ამოცანებს სახავს პარტია მეექვსე ხუთწლედში. დიდი გეგმებია დასახული მძიმე მრეწველობის განვითარების დარგში, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს საფუძველია. იგი საშუალებას გვაძლევს გაშენოთ მანქანები, უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობა საჭირო ტექნიკითა და სასუქებით, საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

დირექტივების პროექტით დიდი პროგრამაა დასახული სოფლის მეურნეობის დარგშიც. ალბათ ყველა თქვენგანმა წაიკითხა ეს ნაწილი, როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა ერთბორად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქცია და მივიღოთ 11 მილიარდი ფუთი მარცვლეული? აქ ზოგს შეიძლება მუხლები აუკანკალდეს და თქვას, ეს შეუსრულებელი რამ არის, რადგან წარსულ ხუთწლედებში ასეთი უდიდესი ზრდა არა გვქონიაო. ხოლო თუ გონივრულად მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს, დარწმუნებული ვარ, რომ მოსავლიანობის გეგმა, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდების გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შესრულდება.

დავასახელებ 1955 წლის რამდენიმე ციფრს. მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე 1954 წელს, ამასთან სიმინდი მოვიდა 3,6-ჯერ მეტი. მზესუმზირას მოსავალი 1954 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა, შაქრის ჭარხლისა — 54 პროცენტით, საბოქოე სელისა — 74 პროცენტით, ბოსტნეულისა — 12 პროცენტით, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების — რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხის წარმოება.

ახლა მთელი საქმე ის არის, რომ გაკეთდეს ჩვენი ხელმძღვანელობის მეთოდები. უნდა ვაკეთოთ კონკრეტული საქმეები, მარტო მოწოდება არ კმარა. ჩვენში, მე ვიტყოდი, ბევრი ხელმძღვანელი მხოლოდ მოუწოდებს კოლმეურნეებს გაადიდონ პური, ხორცის, რძის წარმოება, ხოლო როგორ უნდა გაკეთდეს ეს, ზოგჯერ თვითონაც არ იციან.

აი შეხედეთ, თქვენს საბჭოთა მეურნეობებში ასე ხდება: ერთი ბრიგადა პატიოსნად, კარგად, გონივრულად ცხოვრობს და მუშაობს, დანარჩენი ბრიგადები კი ამ ერთი ბრიგადის ხარჯზე ცხოვრობენ. იგივეა კოლმეურნეობებშიც.

რომელმე რაიონში ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. და აი რაიონის ხელმძღვანელები ამ კოლმეურნეობის ადამიანებს პრეზიდიუმშიც სხამენ და გაზეთებშიც ბეჭდავენ მათს პორტრეტებს და სწორიც არის, კარგი ადამიანების პორტრეტებს რომ ბეჭდავენ. მაგრამ ამავე დროს სხვა კოლმეურნეობები რაიონში ჩამორჩებიან ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მაშასადამე, ვერც კოლმეურნეობაში, ვერც რაიონში ვერ აღწევენ იმას, რომ ყველა ბრიგადა, ყველა კოლმეურნეობა ისე მუშაობდეს, როგორც მოწინავენი მუშაობენ.

ამხანაგებო! ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტი აღფრთოვანებს ჩვენს ხალხს დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის და თავზარსა სცემს ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლში გაიმარჯვა მუშათა კლასმა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის ხელმძღვანელობით. ჩვენ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ და ვშრომობთ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ და სამეფნიეროდ. **(მქუხარე ტაში).**

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია! თავიანთი ძმების მხარდამხარ, მათთან ერთად ახალგაზრდები ისეთ საქმეებს აკეთებენ, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავს მსოფლიო. ეს უტყუარი საწინდარია იმისა, რომ ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას და მის მოწინავე რაზმს — ლენინურ კომკავშირს! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მზრუნველობით ზრდის და აწრთობს ჩვენს გმირ ახალგაზრდობას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის დიდ მშენებელს — საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ვიეტნამის საზოგადო მოღვაწეს ტონ დიკ თხანგს

21 იანვარს კრემლში სვერდლოვის დარბაზში საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადაეცა თვალსაჩინო ვიეტნამელ საზოგადო მოღვაწეს **ტონ დიკ თხანგს.**

ტონ დიკ თხანგი სახელოვანი შვილია გმირი და მშვიდობისმოყვარე ვიეტნამელი ხალხისა, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა მამაცობა და გმირობა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ტონ დიკ თხანგისადმი მისასალმებლად და მისთვის მისალოცავად მოვიდნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტისა და მთელი რიგი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, დედაქალაქის მშრომელებისა და მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა წარმომადგენლები, საბჭოთა ჟურნალისტები.

საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **ტო კუანგ დაუ** და საელჩოს თანამშრომლები. დარბაზში იყო ვიეტნამელი ახალგაზრდობა — მოსკოვის სასწავლებელთა სტუდენტები.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის, მშვიდობისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო მოღვაწის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის **ტონ დიკ თხანგის** გამოჩენას პრეზიდიუმში.

საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი ტონ დიკ თხანგს გადასცა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **დ. ვ. სკობელცინმა.** დ. ვ. სკობელცინმა ტონ დიკ თხანგს მიულოცა მაღალი ჯილდო და შემდეგ დაახასიათა მისი მოღვაწეობა, როგორც მშვიდობისათვის, ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მამაცი მებრძოლისა, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია აქტიურად მონაწილეობს დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ს. ტიხონოვმა,** ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროს უფროსმა ინჟინერმა **ნ. ა. ბაკულოვმა,** საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა პროფესორმა **ე. ა. ვასიუკოვამ,** სოციალისტური შრომის გმირმა, მოსკოვის ოლქის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ი. ა. ბუიანოვმა,** უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ **ა. ი. დენისოვმა,** რომლებმაც მხურვალედ მიულოცეს ტონ დიკ თხანგს.

დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ტონ დიკ თხანგის საპასუხო სიტყვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საარჩევნო კომისიის მოხსენებათა გამო

ამხ. მ. დ. ჩუბინიძის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი, რომელმაც წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ახალი გრანდიოზული წარმატებებით ხვდება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელ ზრდასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასთან ერთად განუწყვეტლივ უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მშრომელებმა საკმაოდ ბევრ წარმატებას მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა მეცხოველეობა. 1954 წლამდე პირუტყვის სულადობის ზრდას არ ერთვოდა საკვები ბაზის შესაბამისი გაფართოება. მეცხოველეობის მოთხოვნილება საკვებზე უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 35-40 პროცენტით.

გაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საკავშირო მთავრობის წინაშე დააყენეს საკითხი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმის რამდენადმე შემცირების შესახებ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო მთავრობამ დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა. ამან შესაძლებლობა მოგვცა სერიოზული ყურადღება მიგვექცია ჯოგის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, ბერწიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. შარშან წველადობის გეგმა შესრულებულ იქნა 112,3 პროცენტით, ამასთან სულ მოწველილ იქნა 127.400 ტონა რძე — 42.400 ტონით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

ამასთანავე რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა, აგრეთვე რაიონი, არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა ამ მიმართულებით. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა არ შეასრულეს 73 რაიონიდან 19 რაიონს, აქედან ძროხისა და ფურკამეჩის სულადობის ზრდის გეგმა — 73 რაიონიდან 58 რაიონს, ღორისა — 71 რაიონიდან 24 რაიონს, ცხვრისა — 55 რაიონიდან 22 რაიონს. ბევრმა კოლმეურნეობამ და რაიონმაც კი ვერ შეძლო წველადობის გეგმის შესრულება. დასახული ამოცანის შესასრულებლად ძროხის სულადობა უნდა გაზრდოდა 43 პროცენტით, ხოლო საშუალო წველადობა — ერთისამად და უფრო მეტად.

რამდენიმე სიტყვა ხორცის წარმოების შესახებ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით დაგვერწმუნებინა ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ხელმძღვანელი, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს ჩაბარდეს გამხდარი პირუტყვი, ვინაიდან ეს იწვევს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის შემცირებას.

1954-1955 სამეურნეო წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 134.671 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ამასთან ჩაბარებული პირუტყვის ერთეულის საშუალო ცოცხალმა წონამ შეადგინა 200 კილოგრამი. დასავლეთ საქართველოში, სადაც კამეჩები არ არის, ჩაბარებული მსხვილფეხა პირუტყვის საშუალო წონამ შეადგინა 170 კილოგრამი ნაცვლად 220 კილოგრამისა აღმოსავლეთ საქართველოში.

უკეთესი მდგომარეობა არ არის ღორის ხორცის ჩაბარების მხრივაც. იგი შეადგენს სახელმწიფოსა და კოოპერაციისათვის ჩაბარებული და მიყიდული პირუტყვის მხოლოდ 5,7 პროცენტს.

მინდა ყრილობის დელეგატების ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ საკითხს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისათვის. საქართველოს საკოლმეურნეო კომლების დაახლოებით 50,5 პროცენტს ძროხები არა ჰყავს. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ აწარმოებდნენ ხორცს, რძეს, კარაქს და ეხმარებოდნენ სახელმწიფოს, ისინი სახელმწიფოსაგან და ბაზრებზე ყიდულობენ მეცხოველეობის პროდუქტებს და ამით ამცირებენ რესურსებს, რომლებიც განკუთვნილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მისაყიდად.

ამხანაგებო! პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით. მაგრამ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობის შემოწმებისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავლინებდა სერიოზულ ნაკლოვანებებს მათს საქმიანობაში. სოფლის მეურნეობისადმი და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისადმი ყოველდღიურ საქმიან ხელმძღვანელობას, ცოცხალ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ცვლიდნენ სასხდომო ფაციფუცით და, იღებდნენ რა მრავალ გადაწყვეტილებას, ავიწყდებოდათ მათი შესრულება. ზოგიერთი აღმასკომი ნაკლებად მუშობდა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვაზე, სუსტად სწავლობდა და განაზოგადებდა იმ ძვირფასსა და ახალს, რაც არის ბევრი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის მუშაობაში.

იყო მთელი რიგი შემთხვევები, როცა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გამოჰქონდათ სავალდებულო გადაწყვეტილებანი, რომელთა შეუსრულებლობა ისჯებოდა 100-200 მანეთი ჯარიმით. ასეთი დარღვევები იყო ყაზბეგის, სტალინირის, ორჯონიკიძის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. საქმე ზოგჯერ კურიოზებამდე მიდის. თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ჯაშიაშვილი) დაადგინა მოესპოთ ქალაქში მოხეტიალე ღორები, ეს საქმე კომუნალური განყოფილების მუშაკს ბიძინაშვილს მიანდო და დაუწესა მას 5 მანეთი პრემია თვითეული მოკლული ღორისათვის. **(სიცილი დარბაზში).**

უხეშ შეცდომებს უშვებენ აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა საქმეში, რომლებსაც ბევრი რაიონული საბჭოს აღმასკომი უპასუხისმგებლოდ ეკიდება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკითხავად, რაიმე სერიოზული საფუძვლის უმნილად სოფლებს უერთებენ სხვა სასოფლო საბჭოებს, თვითნებურად უცვლიან სახელებს დასახლებულ პუნქტებს. ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი, აიგავებს რა ცნებებს „სოფელი“ და „კოლმეურნეობა“, კოლმეურნეობათა გამსხვილების დროს მექანიკურად „აუქმებს“ სოფლებს, რომელთა მოსახლეობას უერთებს სხვა კოლმეურნეობას. არასწორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები მოხდა სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდის, ჭიათურის, ვანის, ჩოხატაურის, საჩხერისა და სხვა რაიონებში. ეს არევდარევას იწვევს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები უნდა ერიდებოდნენ ხშირ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში ახდენდნენ მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით.

დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის პერიოდულად ჩაბარება დიდმნიშვნელოვანი პირობაა მათი აქტიური მონაწილეობისა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებსაც პარტია და მთავრობა სახავენ სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის აღმავლობისათვის, მასებთან საბჭოების კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ საქმეში ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწია. საჭიროა, რომ თვითეულმა დეპუტატმა თავის რწმუნებათა ვადის განმავლობაში ორჯერ მაინც ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მოქალაქეთა მიღების და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში. ამას მოწმობს როგორც ანალიზი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისა, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოდის, ისე შემოწმება ადგილებზე. მთელი რიგი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებსაც დიდი დაგვიანებით განიხილავენ. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ზოგჯერ მეორეხარისხოვან მუშაკს ანდობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საბჭოების უკანასკნელი არჩევნების დღიდან მხოლოდ ათმა თვემ განვლო, რესპუბლიკის 1.086 ადგილობრივი საბჭოს აღმასკომიდან 122 აღმასკომში უკვე გამოიცვალა თავმჯდომარე, 60 აღმასკომში თავმჯდომარის მოადგილე და 96 აღმასკომში — მდივანი. უფრო მეტიც, 38 აღმასკომში წასული თავმჯდომარეების ნაცვლად და 48 აღმასკომში წასული მდივნების ნაცვლად ამ პოსტებზე არჩეულ იქნენ არა დეპუტატები, რაც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშობენ. ისინი არღვევენ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და გარჩევის დადგენილ ვადებს; მთელ რიგ შემთხვევებში გამოძიება წარმოების დაბალ დონეზე, არაკეთილსინდისიერად, რის შედეგადაც ზოგიერთი დამნაშავე თავიდან იცილებს სასჯელს.

მოვიყვან ერთ მაგალითს. ქალაქ ჭიათურის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გოგოლაძე) გაამართლა საქვაჭრობის მაღაზიის გამგე კიკოზაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა 94.000 მანეთამდე ღირებულების სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცება. მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ჩარევის შემდეგ განაჩენი გაუქმებულ იქნა და საქმის ხელმეორედ გარჩევის დროს კიკოზაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით.

სასამართლოების მიერ ასჯავრდებული დამნაშავეები სასამართლო ორგანოებისა და მილიციის ორგანოების დაუდევრობის გამო მთელ რიგ შემთხვევებში თავისუფლად დასეირნობენ.

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ცუდად მუშაობენ სოციალისტური საკუთრების გამფლანგველებისა და დამტაცებლებისათვის იმ თანხების გადახდევინების საქმეში, რომლებიც განსაზღვრულია სასამართლო ორგანოების განაჩენებითა და გადაწყვეტილებებით. ეს აიხსნება იმით, რომ პროკურატურის ორგანოები დროზე არ ადებენ ყადაღას იმ პირთა ქონებას, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული გაფლანგვა-დატაცებისათვის, აგრეთვე იმით, რომ სასამართლოს აღმასრულებლები ხშირად ადგენენ დაუსაბუთებელ აქტებს მსჯავრდადებულთა ვალაუვალობის შესახებ.

ყველა ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლო ორგანოებმა, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებმა უაღრესად გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, ხულიგნების, სპეკულანტებისა და სხვა დანაშაულებრივი ელემენტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. საჭიროა, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს სათანადო დახმარება გაუწიონ ამ საქმეში, დაეხმარონ მათ უზრუნველყონ მათთვის დასახული ამოცანების შესრულება.

ამხანაგებო! საქართველოს პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ხვდება ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული. საქართველოს შრომელები არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც პარტიამ საბჭოთა ხალხს დაუსახა, ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამხ. შ. ვ. ხიდაშელის სიტყვა

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ჭიათურელმა მაღაროელებმა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ვადაზე 3 თვით ადრე შეასრულეს. გადაჭარბებით შესრულდა 1955 წლის დავალებებიც.

სისტემატურად იზრდება მარგანეცის გამოღება, სასაქონლო პროდუქციის დამზადება, შრომის ნაყოფიერება და მცირდება მადნის თვითღირებულება. 1955 წლის ბოლოსათვის 1950 წელთან შედარებით მადნის გამოღება გაიზარდა 62,8 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადება — 60,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 62,7 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება 1955 წლის 11 თვეში შემცირდა 27,7 პროცენტით.

დიდად გაიზარდა მადნის გამოღებისა და ტრანსპორტირების მექანიზაცია. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა ვორონცოვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ საანგარიშო მოხსენებაში გააკრიტიკა ჭიათურის საქალაქო კომიტეტი. ეს კრიტიკა სავსებით სწორია და მას მთლიანად ვიღებთ.

შავი მეტალურგიის სამინისტრო და ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, მხო-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სიტყვები იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. შ. ვ. ხიდაშელის სიტყვის დასასრული

ლოდ მარგანეცის ამოღებით დაინტერესებულნი, სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მუშათა საცხოვრებლების აგებას, ქალაქის კეთილმოწყობას.

ახლა ბევრი მადანი მიაქვს მდინარე ყვირილას. საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა აშენებულიყო მარგანეცის საფლოტაციო ფაბრიკა. იგი ყოველწლიურად მოგვცემდა 200 ათას ტონამდე პირველი ხარისხის მარგანეცს, რომელიც ამჟამად იკარგება. ამასთან საგულისხმოა, რომ შლამი და მარგანეცის მადნის „კუდები", რაც მარგანეცის გამდიდრების შემდეგ რჩება, 14-17 პროცენტ მარგანეცს შეიცავს, აუცილებელია შლამის შესანახავის გაკეთება, რაც დამატებით მოგვცემს მილიონობით ტონა მარგანეცს, მაგრამ შავი მეტალურგიის სამინისტრო ამისათვის არ ზრუნავს.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში უნდა დამთავრდეს ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, სადაც დაახლოებით 1.400 კაცი იმუშავებს. მათი საჭიროებისათვის შავი მეტალურგიის სამინისტრომ გაითვალისწინა 6.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის სახლების მშენებლობა, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის საკმარისი.

ჭიათურის მარგანეცის წარმოებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის დაჩქარებას, მაგრამ რამდენჯერმე დაირღვა მშენებლობის დამთავრების ვადა.

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია დიდ პროპაგანდისტულ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა. ქალაქში აგიტაციას 800-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა. სამწუხაროდ, პროპაგანდისტები და აგიტატორები არ არიან უზრუნველყოფილი აუცილებელი ლიტერატურით.

ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით უზრუნველყოფს პარტიის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ამხ. ს. ა. ლარცულიანის სიტყვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერების საქმეში დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კერძოდ ფილოსოფიის დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრები. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალური საკითხების დამუშავება, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკის განზოგადება და განვითარების პერსპექტივების ღრმად ასახვა ფილოსოფიურ დაწესებულებათა სამეცნიერო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, რომელსაც 13 წლის ისტორია აქვს, გარკვეული დადებითი სამეცნიერო მოღვაწეობა გასწია. მარტო მეხუთე ხუთწლედში ინსტიტუტში დამუშავებულია დიალექტიკური მატერიალიზმის, ისტორიული მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, ლოგიკის, ესთეტიკის საკითხებზე 55 თემა, აქედან 1955 წლის განმავლობაში დამუშავებულია 15 თემა. ამავე წელს გამოცემულია ინსტიტუტის შრომების მეექვსე ტომი, მეცნიერ მუშაკთა 6 ორიგინალური ნაწარმოები და სხვ.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუტის საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, რის გამო იგი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა არ მოიცავს ფილოსოფიის ძირითადი დარგების მთელ რიგ აქტუალურ თემებს; შესრულებული შრომების ხარისხი ზოგჯერ ვერ დგას მაღალ დონეზე და ვერ უპასუხებს იდეოლოგიური მუშაობის გაზრდილ ამოცანებს. არ ხდება ახალი ფილოსოფიური შრომების განხილვა, არ ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები. ინსტიტუტს შემოკრებილი არ ჰყავდა რესპუბლიკის ფილოსოფიური კადრები, ამასთან ერთად არ ზრდიდა მაღალკვალიფიციურ კადრებს დოქტორანტურის გამოყენების გზით. ინსტიტუტი დაკავშირებული არ იყო რესპუბლიკაში და მის გარეთ ფილოსოფიის დარგში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ინსტიტუტს უსაყვედურებენ, რომ იგი არ ამუშავებს ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების საკითხებს და საკმაოდ არ ეწევა თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკას. ეს მართალია, მაგრამ რატომ ხდება ასე? საქმე იმაშია, რომ არ გვყოფნის მუშაკები. ჩვენ დავაყენეთ საკითხი ინსტიტუტში ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის განყოფილების შექმნის შესახებ. შეიძლებოდა ამ განყოფილებაში სამუშაოდ მოგვეწვია 5-6 კვალიფიციური მეცნიერი მუშაკი და მათი საშუალებით მოკლე დროში საქმეს უეჭველად წინ წაგწევდით. მაგრამ ეს წინადადება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

ბოლო დრომდე ფილოსოფიის დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა კადრები იქსაქსებოდნენ.

ჩვენთან დაცული არ არის არც ერთი სადოქტორო დისერტაცია მარქსიზმ-ლენინიზმში, დაცულია მხოლოდ ერთი სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში.

ფილოსოფიის ინსტიტუტი, ისევე როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ბევრი სხვა ინსტიტუტი, უზრუნველყოფილი არ არის ნორმალური სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საჭირო შენობით. ასეთ პირობებში ყოვლად შეუწყნარებელია, რომ აკადემიისათვის განკუთვნილი შენობები საბურთალოში სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით შენდება. საჭირო იქნება დაისახოს სპეციალური ღონისძიებანი აღნიშნული მშენებლობის დასაჩქარებლად.

ამჟამად ფილოსოფიის ინსტიტუტი აზუსტებს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ხუთწლიან გეგმას 1956-1960 წლებისათვის. გეგმაში ფართოდ იქნება გათვალისწინებული აქტუალური თემების დამუშავება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძირითად დარგებში და შეიქმნება მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები, რაც ხელს შეუწყობს ფილოსოფიური აზრის განვითარებას და მის მჭიდროდ დაკავშირებას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან.

ფილოსოფიის ინსტიტუტის კოლექტივს ღრმად აქვს შეგნებული როგორც თავისი მუშაობის ნაკლოვანებანი, ისე მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები და ყველა ზომას მიიღებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესოს ინსტიტუტის მუშაობა და გადააქციოს იგი რესპუბლიკაში ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისა და პროპაგანდის ცენტრად.

ამხ. მ. დ. დავითაშვილის სიტყვა

ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ამხანაგებო! ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყვარლის რაიონის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით 1955 წელს ერთგვარი მიღწევები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, შარშან გაზაფხულზე თესვა უფრო შემჭიდროებულ ვადებში და გაცილებით მეტ ფართობზე ჩატარდა, ვიდრე 1954 წელს, ამასთან 2.325 ჰექტარით გავზიდეთ ძვირფასი კულტურის — სიმინდის ნათესები. რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან პირველად შეასრულეს რძის წველადობის სახელმწიფო გეგმა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 1954 წელთან შედარებით მიღებულია 384 კილოგრამით მეტი რძე. გაუმჯობესდა მტს-ების მუშაობა. ყვარლისა და ენისლის მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა 1955 წლის გეგმა ჯერ კიდევ 1 ნოემბრისათვის შეასრულეს.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებამ, უწინარეს ყოვლისა, მათთვის ეხარიან თავმჯდომარეთა შერჩევამ საგრძნობლად გააუმჯობესა სასოფლო-სამეურნეო არტელების მუშაობა. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ სოფელ ენისლის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც წლების მანძილზე რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო არტელად ითვლებოდა. 1955 წლის დასაწყისში ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. მ. ბურდიაშვილი, რომლის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ თავი დაიღწია ჩამორჩენას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო დამზადებათა მოცულობის გადიდებით. 1955 წელს 1954 წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 113,8 ტონით მეტი ხორცი, 335 ტონით მეტი რძე, 108 ათასი ცალით მეტი კვერცხი, 1.039 ტონით მეტი მარცვლეული.

მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომადღის ღირებულება. მშრომელები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. მარტო 1955 წელს რაიონში 400-ზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშაობა. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1955 წლის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 102,5 პროცენტით.

მიღწევები გაცილებით მეტი გვექნებოდა, სერიოზული ნაკლოვანებებით რომ არ ხასიათდებოდეს ჩვენი მუშაობა. რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. ხშირ შემთხვევაში ჩვენ არასრულად ან ცუდად ვიყენებთ მტს-ების ტექნიკას. არის მანქანების მოცდენის მრავალი შემთხვევა, რაც იწვევს მინდვრის სამუშაოთა გაჭიანურებას და მოსავლიანობის შემცირებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ მტს-ებმა თუმცა სატრაქტორო სამუშაოთა გასული წლის გეგმები გადაჭარბებით გაანაღდეს, მათ არ შეუსრულებიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დავალებები.

ჩვენი სამრეწველო საწარმოები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ რაიონის მოთხოვნილებას საშენ მასალებზე. ჩვენ შეგვიძლია ადგილზე მოვაწყოთ აგურისა და კრამიტის წარმოება. საამისოდ გვაქვს აუცილებელი ნედლეულის ბაზა, რომლის გამოვლენებისათვის 55,5 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ვთხოვ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლისათვის გათვალისწინონ ყვარლის რაიონში აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობა.

ამხანაგებო! ყვარლის რაიონის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას და ღირსეულად განახორციელონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

ამხ. ს. ბ. ნაკოევის სიტყვა

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობაზე მოვიდა ერთიანი, მონოლითური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო დარაზმული. იგი მზად არის შეასრულოს ჩვენი პარტიის ყველა დავალება.

ყოველი ღონისძიებით აჩაღებენ რა პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, ძლევენ რა სერიოზულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რომლებიც იყო სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაობაში, სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები ოლქის მშრომელებს რაზმავენ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პარტიული და კომკავშირული აქტივიდან კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სამუშაოდ გაიგზავნა 554 კაცი, აქედან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად — 118, ფერმების გამგეებად — 119, ბრიგადირებად — 303 კაცი.

ამჟამად ოლქის 170 კოლმეურნეობაში მუშაობს სოფლის მეურნეობის 200-მდე სპეციალისტი.

1954-1955 წლების განმავლობაში ოლქის კოლმეურნეობებმა სიმინდის ნათესები გაადიდეს 1.787 ჰექტარით და კარტოფილისა — 352 ჰექტარით. ახალი ბაღები გაშენდა 214 ჰექტარ ფართობზე, ვენახები — 127 ჰექტარზე.

იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩვენი ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1955 წელს ჩაედოთ ორჯერ მეტი სილოსი, ვიდრე 1954 წელს, გაეორკეცებინათ სიმინდის მოსავალი, 400 გრამით გაეიდიდებინათ მატყლის ნაპარსი თვითეულ ცხვარზე, დროულად შეესრულებინათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები და უზრუნველეყოთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმის შესრულება.

თავიანთი დაპირება ოლქის მშრომელებმა შეასრულეს.

ოლქის კოლმეურნეობებში გადაჭარბებით არის შესრულებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები ყველა სახეობის პირუტყვის მიხედვით. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია ორჯერ მეტი რძე, ვიდრე 1954 წელს. თვითეულ ცხვარზე მატყლი მიღებულია 580 გრამით მეტი, ვიდრე წინა წელს.

ახლა უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობა მთლიანად უზრუნველყოფილია საკვებით, ხოლო ზამთრის საძოვრები — თივის სადაზღვევო მარაგით. ჩადებულია ორჯერ მეტი სილოსი, ვიდრე 1954 წელს, და სამჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

ოლქის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. 1955 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა რძის პროდუქტები 14.200 ცენტნერით მეტი, კვერცხი — 400 ათასი ცალით მეტი და მარცვლეული — 12.600 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

წარმატებით მიმდინარეობს მზადება მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ოლქის მტს-ებმა ვერ შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. არის აგროტექნიკის წესების დარღვევის შემთხვევები. ჯერ კიდევ ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, კოლმეურნეობებში მოგვარებული არ არის აღრიცხვა და ანგარიშგება, სუსტია შრომის დისციპლინა.

სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სერიოზულ ხარვეზებთან, რომლებიც გვაქვს პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური აგიტაციის მოწყვეტა ყოველდღიური ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, იმის უნარის უქონლობა, რომ განვაზოგადოთ და გავავრცელოთ მოწინავე გამოცდილება, სწორად წარვმართოთ ადამიანთა ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სტალინირსა და რაიონულ ცენტრებში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა გვიანდება.

მინდა დავაყენო საკითხი იმის შესახებ, რომ გამოიცეს საოლქო გაზეთი რუსულ ენაზე.

როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთში გამოდის ორი საოლქო გაზეთი — ერთი ოსურ და მეორე ქართულ ენაზე. ორივე გაზეთი დიდ დახმარებას გვიწევს მშრომელთა აღზრდაში და ოლქის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად მათ დარაზმვაში. ამასთან ერთად დიდი ინანია მომწიფდა აუცილებლობა სხვა გაზეთებთან ერთად ოლქში გვქონდეს გაზეთი რუსულ ენაზე.

და, ბოლოს, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის შესახებ. იგი არა მარტო პედაგოგიურ კადრებს ამზადებს, არამედ პარტიული და საბჭოთა მუშაკების კადრების შევსების ძირითადი წყაროც არის. მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგს განათლების სამინისტრომ სტუდენტთა მიღების კონტინგენტი 50 პროცენტით შეამცირა. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

ამხანაგებო! მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩვენი ოლქის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ოლქის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელნი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, პირნათლად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

ამხ. მ. ი. კუჭავას სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ამხანაგებო! ახალ ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა ძალონით აღსავსე შედის. სსრ კავშირის მშრომელნი კანონიერად ამაყობენ იმით, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდა.

მალე შესრულდება 35 წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. ამ წლების მანძილზე, ხალხის თავდადებული შრომის შედეგად, პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენმა რესპუბლიკამ სავსებით იცვალა სახე. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, განსაკუთრებით დიდი რუსი ხალხის დახმარებით ჩვენში შეიქმნა მოწინავე მრავალდარგიანი სამრეწველო წარმოება და მსხვილი მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა. უმაგალითო დონეზე ავიდა მშრომელი მასების კეთილდღეობა და კულტურა.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალდაბანდებათა ყოველწლიური მოცულობა 1,5 მილიარდ მანეთს აღემატება. ეს მოწმობს რესპუბლიკაში ახალი მშენებლობის უდიდეს ოდენობას.

აქედან გამომდინარეობს, რომ, ჯერ-ერთი, სისტემატურად უნდა ვასრულებდეთ მშენებლობის, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობის გეგმებს; მეორე — უზრუნველვყოფდეთ საექსპლოატაციოდ გადაცემულ საწარმოო სიმძლავრეთა მაღალ წარმადობას. მაგრამ ამ დარგში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნას მარგანეცის მადნის ამოღების ზრდა 1,5-ჯერ. ამის მიღწევა შეიძლება მარგანეცის წარმოების შემდგომი კომპლექსური მექანიზაციის გზით. მაგრამ ამ მუშაობას აფერხებს კაპიტალური მშენებლობის შეუწყნარებელი ჩამორჩენა. კაპიტალური მშენებლობის გეგმები განვლილი ხუთწლედის არც ერთ წელს არ შესრულებულა. ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" მმართველმა ამხ. გიორგაძემ უნდა შეიგნოს, რომ აღარ შეიძლება შევურიგდეთ მძიმე მრეწველობის ობიექტების მშენებლობის ჩამორჩენას.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ახალგაზრდა, სწრაფად მზარდი საწარმოა. მაგრამ ხშირად აქ პირველხარისხოვანი მოწყობილობის გვერდით ვხვდებით კუსტარულობას, ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას, ყოველთვის ოპერატიულად როდი ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები, ხოლო წუნი, ავარიები და აგრეგატების მოცდენა ხელს უშლის წარმოების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებას.

ასეთი ფაქტები იშვიათი როდია სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის მუშაობაშიც. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროში, მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. გასაკვირველი არ არის, რომ სამინისტრომ 1955 წელს ჩაშალა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის შესრულება.

ცნობილია, რა დიდმნიშვნელოვან ამოცანას ასრულებს სახალხო მეურნეობაში ტრანსპორტი. უკანასკნელ ხანს დამახასიათებელია ავტოტრანსპორტის მიერ ტვირთების გადაზიდვის ხვედრითი წონის ზრდა. ეს გარემოება გვავალებს გავადიდოთ ავტოტრანსპორტის მუშაობის ნაყოფიერება.

ავტოტრანსპორტის მუშაობის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქმროა გავამსხვილოთ წვრილი ავტომეურნეობანი როგორც უწყებათა შიგნით, ისე მათ შორის, და ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით, რამაც სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ამის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლითაც ასიგნებულია უდიდესი სახსრები ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, მეცნიერების საჭიროებებისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის დონე დღემდე არ შეესაბამება დასახულ ამოცანებს. მიუხედავად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი სახსრების ასიგნებისა, ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ჩამორჩება წაყენებულ მოთხოვნებს.

მართალია, უკანასკნელ პერიოდში პირველად 1955 წელს მივაღწიეთ იმას, რომ განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა საერთოდ ცუდად როდი აითვისეს ასიგნობანი კაპიტალური მშენებლობისათვის, მაგრამ ამასთან ერთად წლითიწლობით არ სრულდება ახალი სკოლების, კინოთეატრების, საავადმყოფოებისა და სხვ. საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

ჩვენ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, რომ განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა ფინანსთა სამინისტროსთან და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ შენობათა კაპიტალური რემონტის პერსპექტიული — ვთქვათ 3-5 წლის — გეგმები.

ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში. ეს მუშაობა ცუდად წარმოებს ახმეტის, გორის და ბევრ სხვა რაიონში.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში და ამ საფუძველზე ნამდვილად განვახორციელოთ კანონი ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ.

ამხანაგებო! ჩვენმა მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მოღვაწეებმა ბევრი რამ გააკეთეს ქართული კულტურის განვითარებისათვის, თავიანთი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კულტურის საერთო საგანძურში.

მაგრამ, მიუხედავად მუდმივი ხელშეწყობისა და დახმარებისა, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა შექმნა მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი ნაწარმოებნი სოციალისტური წყობილების შექმნის, დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში გაზრდილი საბჭოთა ადამიანის შესახებ. განსაკუთრებით იგრძნობა ეს თეატრალური ხელოვნების დარგში.

განა შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ საბჭოთა მაყურებელი, რაკი თეატრის სცენაზე ვერ შეხვდება თანამედროვეობის არსებით, ამაღელვებელ საკითხებს მკაფიო და ღრმა მხატვრული განსახიერებით, უთუოდ ხურავს შეაქცევს თეატრს? ამით აიხსნება ის, რომ მთელ რიგ ჩვენს თეატრებს ცოტა მაყურებელი ჰყავთ და სისტემატურად ფინანსურ გორღვევაში იმყოფებიან.

თეატრების შემოქმედებითმა კოლექტივებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა სპექტაკლების მაღალი იდეურ-მხატვრული დონისათვის, რეპერტუარის ხარისხისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კვლავ და კვლავ ეძლევა მითითება, რომ საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკური და საერთოდ მთელი მუშობა.

სოფლად მომუშავე ბევრი ექიმის კვალიფიკაცია დაბალია. 1955 წელს სპეციალიზაცია მიიღო ანუ კვალიფიკაცია აიმაღლა 1.166 ექიმმა. მაგრამ მათ შორის მხოლოდ 280 კაცი იყო სოფლად მომუშავე.

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

მაგრამ წარმატებანი შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, არსებითი ნაკლოვანებები რომ არ გვქონდეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაყენებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უკეთ რომ ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შრომთა ღონისძიებებს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმას, რომ მეურნეობისა და კულტურის განვითარების არსებითი საკითხები ყოველთვის ოპერატიულად და ღრმად წყდებოდეს. მინისტრთა საბჭოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს სამინისტროებისადმი, დაწესებულებებისადმი, საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების მხრივ.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პერსპექტივები. პროექტში გათვალისწინებულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ რა დირექტივების პროექტს, საქართველოს მშრომელებს ესმით, რომ ამ დირექტივების ეთუოდ შესრულებას დასჭირდება მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა, მუშაობის ნაკლოვანებებთან უნარიანად ორგანიზებული ბრძოლა.

წარმატებათა გადამწყვეტ პირობასა და საწინდარს წარმოადგენს ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის ბრძენი და სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, რომელიც განასახიერებს ჩვენი ხალხის რკინისებურ ნებისყოფას, ურყევ ძალასა და ძლიერებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. პ. ე. ბაქრაძის სიტყვა

საქართველოს კპ ტყიბულის რაიკომის მდივანი

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ტყიბულის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში.

შახტებში შრომის ახალი, პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამთო მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად მკვეთრად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების 1955 წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა.

ტყიბულელთა შესანიშნავი გამარჯვებაა შაორის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება. წლიური დავალებები ვადამდე შეასრულეს კურსების გრანიტის და მოწამეთის კირის ქარხნებმა, ტყიბულის რკინიგზის სადგურმა, ორპირის ჩაის ფაბრიკამ და ადგილობრივი მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა.

სერიოზული წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც. გადაჭარბებით — 123 პროცენტით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის ჩაბარების გასული წლის დავალება. განაღდებულია აგრეთვე ხილის, პრეშუმის პარკისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები.

საერთო წარმატების მიუხედავად, ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. შახტებში დღემდე არ არის გამოყენებული ყველა რეზერვი და შესაძლებლობა ქვანახშირის ამოღების გასაადიდებლად. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საწარმოო გეგმის შესრულებას ყველა შახტში, უბანსა და ცვლაში. გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად იმუშავა მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც სამშობლოს დააკლო ათასობით ტონა ქვანახშირი. ჩამორჩენა გამოიწვია სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა უგულებელყოფამ. მიუხედავად ამ მწარე გაკვეთილისა, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს არც 1955 წელს მიექცა სათანადო ყურადღება, და დავალება მხოლოდ 85,5 პროცენტით შესრულდა.

შახტებში შრომის ნაყოფიერების ზრდას დიდად აბრკოლებს ის გარემოება, რომ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ციკლური გრაფიკით მუშაობის ფართოდ დანერგვას. მაგალითად, მოლოტოვის სახელობის შახტში დღემდე ამ მეთოდზე გადაყვანილი არ არის არც ერთი მოქმედი ლავი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის გაგრცელებისათვის. მაგრამ ეს მეთოდი მაინც არ ინერგება ისეთი ფართო მასშტაბით, როგორიც საჭიროა ტყიბულის ქვანახშირის სქელი ფენების უდანაკარგოდ და უსაშიშროდ დამუშავებისათვის. ამ საკითხში მეტი საქმიანი დახმარება უნდა გაგიწიოს საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა. ტრესტ საქშახტმშენის ტყიბულის სამშენებლო სამმართველომ ვერ შეასრულა სამშენებლო-საძონტაჟო სამუშაოთა გასული წლის გეგმა. მეტად ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ უგულებელყოფილია მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, ამასთან, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო მშენებლებს საჭირო რაოდენობით ვერ ამარაგებს საშენი მასალებით.

1960 წლისათვის ტყიბულში ქვანახშირის ამოღება დიდად უნდა გაიზარდოს. ამის უზრუნველსაყოფად, არსებული შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების გარდა, უნდა აშენდეს ქვანახშირის ახალი შახტები. მაგრამ ნელა ჩაღდება მოსამზადებელი მუშაობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საპროექტო ორგანიზაციები ხშირად ადგენენ უვარგის პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებული არ არის ადგილობრივი პირობები, ეს კი იწვევს ხელმეორედ დაპროექტების საჭიროებას და თანხების დიდ დადახარჯვას.

გაითვალისწინებენ რა იმ კრიტიკას, რომელიც მოცემული იყო ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებაში, ტყიბულელი კომუნისტები აღმოფხვრიან მათს მუშობაში არსებულ ნაკლოვანებებს, კიდევ უფრო გაუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

ამხ. გ. ი. ვარშანიძის სიტყვა

გათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი

ჩვენი კოლმეურნეობის ძირითად შემოსავლის წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს. 1955 სამეურნეო წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და მრეწველობისათვის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 107 პროცენტით შესრულდა, სამუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულია 5.148 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საგრძნობლად გავაუმჯობესეთ ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა-პატრონობა. გასულ წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების გეგმა 145 პროცენტით შესრულდა. მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობაში სიმინდის კულტურის მოსავლიანობა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 24 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების გაცნობის შემდეგ მე გადავწყვიტე მუშაობა მეცხოველეობის ფერმაში დამეწყო. გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ჩემი თხოვნა დაკმაყოფილეს და ამ დღიდან მწველავად ვმუშაობ ფერმაში.

1955 წელს კოლმეურნეობამ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. პირუტყვის მოვლა-კვების პირობების მკვეთრად გაუმჯობესების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა. გასულ წელს საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მივიღეთ 2.899 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. მე ვუვლიდი 8 ძროხას და საშუალოდ თვითეულზე მივიღე 3.112 კილოგრამი რძე, გავზარდე და შევინარჩუნე 8 სული ხბო. ახალი სამეურნეო წლის სამ თვეში მოწველილი მაქვს 790 კილოგრამით მეტი რძე გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ჩემი შრომა და მომანიჭეს „საქართველოს სსრ მოწინავე მწველავის“ სატიტო წოდება. 1954-55 წლებში ვიყავი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ხოლო 1956 წლისათვის დამტკიცებული ვარ გამოფენის კანდიდატად.

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობას სიტყვას ვაძლევ, რომ პირუტყვის მოვლა-კვების გაუმჯობესებით, წელს რვა ძროხიდან გავზრდი 8 ხბოს და თვითეულ ძროხაზე მივიღებ 4.000 კილოგრამ რძეს.

ამხ. ა. ს. ქემოკლიძის სიტყვა

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! საგარეჯოს რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც სერიოზულ მუშაობას ეწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამოცანად დაისახა უახლოეს 5-6 წელიწადში უზრუნველყოს ხორცის წარმოების გადიდება 4,4-ჯერ, რძისა — 7-ჯერ, კვერცხისა — 29-ჯერ, მატყლისა — 2,7-ჯერ, ღორის ხორცისა — 5-ჯერ.

ამავე პერიოდისათვის გათვალისწინებულია სათესი ფართობების ზრდისა და მოსავლიანობის ამაღლების გზით მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლამ უკვე მოგვცა პირველი შედეგები. გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების როგორც სათესი ფართობები, ისე მოსავლიანობა, ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა და გაუმჯობესდა მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა.

1955 წელს წინა წელთან შედარებით დაითესა 2.440 ჰექტარით მეტი საგაზაფხულო და 1.600 ჰექტარით მეტი საშემოდგომო კულტურები, ამასთან თესვა საუკეთესო აგრო-ტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარდა.

განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდა სიმინდის ნათესი ფართობები. წინა წელთან შედარებით გასულ წელს დაითესა 840 ჰექტარით მეტი სიმინდი. ამას გარდა მეორე მოსავლის მიღების მიზნით ნაწვერალზე დაითესა 2.500 ჰექტარი სიმინდი. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და საკვები კულტურების ნათესი ფართობები. ამავე დროს ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობაში და ნათესების მთელ ფართობზე მაღალი მოსავალი მივიღოთ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებათა საბჭოთა სახელმწიფო გეგმები რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

მეცხოველეობა საგარეჯოს რაიონში წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გულდასმით შეისწავლეს მეცხოველეობის ჩამორჩენის მიზეზები და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა მეცხოველეობის მუშაკთა შორის, რის შედეგად მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. გასულ სამეურნეო წელს ძროხის სულადობა გაიზარდა 12,5 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 16,2 პროცენტით, ღორისა — 75 პროცენტით და ფრინველისა — 145,6 პროცენტით.

1955 წელს რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1954 წელთან შედარებით გაიზარდა 14,6 ცენტნერით, ხორცისა — 8 ცენტნერით, კვერცხისა — 200 ცალით. მეწველი პირუტყვის კვებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად 1955 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა წველადობა.

რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში ვაზის კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტურის შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობანი დღემდე არ არის გამოყენებული. ამას წინათ ჩატარებულმა რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ შეიმუშავა ღონისძიებანი მეექვსე ხუთწლედში ვენახის ფართობის 2.500 ჰექტარამდე გადიდების შესახებ, ესე იგი 5 წლის განმავლობაში უნდა გავაშენოთ 1.100 ჰექტარი ვენახი. გაჩაღებულია მუშაობა ამ სერიოზული ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის.

ვენახების ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება ყურძნის დაბადება, რისთვისაც საჭირო იქნება ყურძნის გადამუშავებელი ბაზის გაფართოება. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და დაიჩქაროს მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასთან 2.000 ტონის ტევადობის ღვინის ქარხნის მშენებლობა.

მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანები არ შეიძლება გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაციის განუხორციელებლად. ეს მოითხოვს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყოველდღიური კონკრეტული დახმარება გაუწიოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს საკოლმეურნეო წარმოებაში მექანიზაციის დასანერგავად. ჯერ კიდევ 1954 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იორის მტს-ის მუშაობის შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მტს-ში სასმელი წყლის გაყვანა, ფარდულის აშენება, არსებულ საცხოვრებელ ნაგებობათა შეკეთება, მტს-ის ტექნიკით შეიარაღება და კადრებით განმტკიცება. მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არა თუ ამ დადგენილების შესრულებისათვის არ უზრუნია, არამედ მისი არსებობაც კი დაავიწყდა. სამინისტროს მუშაკები იშვიათად და ისიც გავლით თუ შეივლიან იორის მტს-ში.

უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული კრიტიკა პარტიის საგარეჯოს რაიკომის საქმიანობისა სავსებით სამართლიანია. რაიონის კომუნისტები, პარტიის რაიონული კომიტეტი სათანადო დასკვნებს გააკეთებენ ამ კრიტიკიდან და ყველა ზომას მიიღებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატამ მოიწონა კანონი ეროვნული სახალხო არმიისა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ

ბერლინი, 21 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატამ 20 იანვრის სხდომაზე ერთხმად მოიწონა კანონი ეროვნული სახალხო არმიისა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ მიიღო 1956 წლის 18 იანვარს.

კანონის დასასაბუთებლად სხდომაზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. შტოფი. მხარეთა პალატის დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად იწონებდნენ კანონს ეროვნული სახალხო არმიისა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ.

ჩეხოსლოვაკია-ავსტრიის სავაჭრო ურთიერთობა

პრაღა, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ აქ დამთავრდა სავაჭრო მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიას შორის, რის შედეგად ხელი მოაწერეს ოქმს 1956 წელს საქონელგაცვლის შესახებ.

ჩეხოსლოვაკია მიაწვდის ქვანახშირს, ფოლადის მილებს, ჩარხებს, ავტომობილებს, ქიმიკალიებს, კერამიკის ნედლეულსა და კერამიკის ნაკეთობებს, სვიას, მოტოციკლებს, მინას; ავსტრია — სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობასა და მანქანებს, ელექტროღუმელებს, ნავთობს, ლეგირებული ფოლადის პროდუქციას, თხელ თუნუქს, ხელოვნურ სასუქებს, ბურთულ-საკისრებსა და სხვადასხვა მზა ნაწარმს.

საქონელგაცვლის საერთო მოცულობა შარშანდელთან შედარებით 50 პროცენტზე მეტით გადიდდება.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 20 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიმართა საფრანგეთის ახალი ეროვნული კრების მთელი რიგი საპარლამენტო ჯგუფების ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნები. ჯგუფების თავმჯდომარეებად არჩეული არიან: კომუნისტების ჯგუფში ჟაკ დიუკლო; სოციალისტების ჯგუფში — ედუარდ დეპრე; რადიკალების ჯგუფში — ედუარდ დალადიე; „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირისა“ და „აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების“ ჯგუფში — ფრანსუა მიტერანი; ეგრეთწოდებულ „ზომიერთა ჯგუფების“ ბლოკში — ანტუან პინე.

გამოქვეყნდა წინასწარი მონაცემები, თუ როგორ ნაწილდება ჯგუფების მიხედვით ეროვნული კრების 595 დეპუტატი: კომუნისტები და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრები — 151, სოციალისტები — 96, რადიკალები — 55, „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი“ და „აფრიკის დემოკრატიული გაერთიანება“ — 19, „სოციალური რესპუბლიკელები“ — 23, „დამოუკიდებელნი ზღვასგალმა ტერიტორიებიდან“ — 11, „მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანება“— 12, „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტია — 71, ეგრეთწოდებული „ზომიერები“ („დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“ და სხვა „მემარჯვენე დაჯგუფებანი“)—97, პუჟადისტები — 51, დეპუტატები, რომლებიც არც ერთ ჯგუფს არ ემხრობიან — 9.

ეროვნულ კრებაში (რომელშიც 627 დეპუტატია) დანარჩენი 32 ადგილი უნდა დაიკავონ ალჟირის 30 დეპუტატმა და ზოგიერთი იმ ზღვასგალმა ტერიტორიის ორმა დეპუტატმა, სადაც არჩევნები ჯერ არ მომხდარა.

პარიზი, 21 იანვარი. (საკდესი). ეროვნული კრების სამანდატო კომისიები განაგრძობენ დეპუტატთა არჩევის კანონიერების შემოწმებას. მანდატების უმრავლესობა უკვე შემოწმებულია. 24 იანვრისათვის დანიშნულია ეროვნული კრების თავმჯდომარის არჩევნები. აქეამად ამ პოსტზე დასახელებულია ოთხი კანდიდატი — მარსელ კაშენი (კომუნისტი), ლე ტროკერი (სოციალისტი), შნეიტერი (რრპ — „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა“) და რიუფი (პუჟადისტი).

შუა აღმოსავლეთის საკითხებზე ინგლის-ამერიკის მოლაპარაკებების გამო

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ვაშინგტონში დამთავრდა შუა აღმოსავლეთის პრობლემებზე ამერიკა-ინგლისის წინასწარი მოლაპარაკება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იდენის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით დაიწყო. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ისლო ალმოსავლეთის საქმეებში ალენი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწე შუა აღმოსავლეთის საქმეებში შაკბერგი. საგენტო აღნიშნავს, რომ ალენისა და შაკბერგის მოლაპარაკება ეხებოდა ბაღდადის პაქტს, ამასწინანდელ საპროტესტო დემონსტრაციებს იორდანიაში ამ პაქტთან შეერთების წინააღმდეგ, იარაღის მიწოდებას შუა აღმოსავლეთში, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის პრობლემას და სხვა საკითხებს.

როგორც პრესა იუწყება, ამ მოლაპარაკების დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს შორის.

დანიის კომპარტიის თავმჯდომარის განცხადება

კოპენჰაგენი, 21 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკ“ იუწყება, დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ აქსელ ლარსენმა, რომელიც კრებაზე გამოვიდა ქალაქ როსკილდში და კომენტარი გაუკეთა დალესის ინტერვიუს ეურნალ „ლაიფსავმი“, განაცხადა: „დანიის „მოკავშირეს“ — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეუძლია ცალმხრივი, სასოწარკვეთილი მოქმედებით გააჩაღოს ომი და აიძულოს დანია მონაწილეობა მიიღოს ამ ომში. ამავე დროს დანიას არა აქვს შესაძლებლობა რაიმე გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე ან კონტროლი გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც ამერიკის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობენ.

სწორედ ეს ხდის დანიის წევრობას ატლანტიკის პაქტში ესოდენ საშიშს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის. დალესის განცხადებამ დანიის მთავრობას უნდა მისცეს არა მარტო საბაბი შეშფოთებისათვის, არამედ აგრეთვე აიძულოს იგი ვაშინგტონში განაცხადოს პროტესტი ესოდენ საშიში პოლიტიკის წინააღმდეგ“.

სპორტის ამბები

კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება

ჩვენი ქალაქის ... ქალაქთა კალათბურთელების გუნდები ზამთრის ტრადიციულ შეჯიბრებას 28 იანვარს დაიწყებენ. ორივე ტურნირში იქნება ათ-ათი გუნდი.

ქალთა ჯგუფში შედიან: „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, „დინამო“, „სტროიტელი“, „მეტალურგი“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „დაუგავა“ (რიგა), „ყალგირისი“ (კაუნასი) და „კალევი“ (ტარტუ).

ვაჟთა ჯგუფში არიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბი, „დინამო“, „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი), ოფიცერთა სახლი (რიგა) — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, „სპარტაკი“ (რიგა), „კალევი“ (ტარტუ) და „ყალგირისი“ (კაუნასი).

შეჯიბრება მოეწყობა ერთ წრედ. წარსული წლებისაგან განსხვავებით შეხვედრა იწარმოებს ტურებად სხვადასხვა ქალაქში.

ქალთა გუნდები ითამაშებენ კიევსა და ტალინში, ვაჟთა გუნდები — თბილისსა და რიგაში. (საკდესი).

„კოლმეურნის“ პირველობაზე

ბაკურიანში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ პირადგუნდური პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ბორჯომის, მესტიის, ბოგდანოვკის გუნდები.

სათხილამურო გადარბენები ვაჟთათვის 15, 30 და 50 კილომეტრზე დამთავრდა ა. ჯაფარიძის (მესტია), ვ. კოზანაშვილისა (ბორჯომი) და დ. მარგიანის (მესტია) გამარჯვებით. ქალთა შეჯიბრება სათხილამური გადარბენებში 5 და 10 კილომეტრზე დამთავრდა მესტიის გუნდის წარმომადგენლის ნ. მუშკუდიანის გამარჯვებით. მან „კოლმეურნის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სლალომში პირველი ადგილი დაიკავეს: ქალთა შორის რ. ბანდურმა (ბორჯომი), ვაჟთა შორის — პ. კოზანაშვილმა (ბორჯომი). ორეშდში და ტრამპლინიდან ხტომაში ჩემპიონი გახდა პ. გავა (ბორჯომი). ამანათრბენში ქალთათვის 3×5 კილომეტრზე და ვაჟთათვის 4×10 კილომეტრზე გაიმარჯვეს მესტიისა და ბორჯომის გუნდებმა.

პრიზიორებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

შედგენილია საქართველოს „კოლმეურნის“ მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში.

თემაგური საღამო

26 იანვარს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 17) აწყობს თემატურ საღამოს, მიძღვნილს ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების 6 წლისთავისადმი.

საღამოს პროგრამაშია: პროფესორ დ. ენუქიძის ლექცია თემაზე: „თანამედროვე ინდოეთი“. ინდოეთში მოგზაურობის შესახებ მოგონებით გამოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გ. ახვლედიანი.

მხატვრულ განყოფილებაში ნაჩვენები იქნება ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ინდოელი მწერლის კრიშან ჩანდრის ნაწარმოებისა „მთვარიან ღამეს“ (კითხულობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე), მონაწილეობენ: ნ. ავალიანი, ლ. შინჯიკაშვილი, გ. ოქროპირიძე, ნ. ტუღუში, ი. გაგუა, ე. ისაკაძე.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. კობახიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი თ. მუშკუდიანი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები ე. გვაზავა, ც. ციცქიშვილი, მ. გოძიაშვილი, კ. მაკაროვი, ჯ. კუხიანიძე, მსახიობი ლ. ჩხეიძე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ლაკმე, რუსთაველის სახელობის — ოტელო, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 48, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული—კრაზანა (6 ს.), თოჯინების ქართული — ბალტი (10 ს. და 2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვოროშილოვისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — კერპი, კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — პედაგოგიური პოემა, კოლხიდა — სისხლიანი გზა, დიდუბე — მოხუც აშირის ეშმაკობა.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის ობლიგაციები!

1956 წლის 30 იანვარს ქალაქ კუიბიშევში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 49-ე ტირაჟი. ყოველწლიურად იმართება ამ სესხის ექვსი ძირითადი ტირაჟი — **30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს** და **30 ნოემბერს** და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი—**30 სექტემბერს.**

ძირითად ტირაჟებში გათამაშდება **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000** და **400**-მანეთიანი მოგებანი, ხოლო დამატებითს ტირაჟში, გარდა ამისა, **100.000**-მანეთიანი მოგება.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და ყიდულობენ შემნახველი სალაროები

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

მოქალაქე **ალექსანდრე გაბრიელის-ძე ინაშვილმა,** მცხოვრებმა განჯის ქ. № 6, აღძრა საქმე ანაგის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **მარო ნიკოლოზის ასულ პეტროვსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სუსანა სერგოს ასულმა ხომეზურაშვილმა,** მცხოვრებმა ფიგნერის ქ. № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **გიორგი ხარებისძე ხომეზურაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ნინო ბაიდაშვილი იუწყება **დიდო ვლადიმერის ასულ ხეთაგურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 3 ს. კალანდაძის ქ. № 19.

მეუღლე ელისაბედ, შვილები გიორგი, ქენია ლუარსაბოვები ოჯახებათ იუწყებიან **ივანე ანდრიას-ძე ლუარსაბოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. ბინიდან, კალინინის ქ. № 7.

გიორგი თედორეს-ძე სტურუა ოჯახით იუწყება მეუღლის **ნინო ნიკოლოზის ასულ სტურუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 2.

შვილები ნიკოლოზ, ეკატერინე, ელენე, თამარ ოჯახებით იუწყებიან **დარია ონისიმეს ასულ ვახაძე-ჩაჩავან** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-I ლანჩხუთში. გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 1.

და პეპა შოთაძე, შვილი გუგული მგელაძე ოჯახებით იუწყებიან **ანა გრიგოლის ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-I ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, მიასნიკოვის ქ. № 14.

შვილები ნატა, ვალია, თათუშა ოჯახებით იუწყებიან **ბაბილინა გლახუას ასულ ცომაია-ჩაგანავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. პლეხანოვის პროსპ. № 191.

მეუღლე მარო, შვილები ელისო, ვანო, ლიანა, ლალი, დედა ნინო, ძმები შალვა, გოგი, და თამარ ოჯახით იუწყებიან **პავლე ნიკოლოზის-ძე ბერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 7 ს. გამოსვენება 26-I, 5 ს. ბინიდან, ტემრიუკის ქ. № 26.

შვილები ნადია, ოლია, ვლადიმერ, აკაკი, ძმები სიმონ, კარპეზ ოჯახებით იუწყებიან **ბიჭინა გრიგოლის-ძე აბვლედიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-I სოფელ სურმუშში (ცაგერის რაიონი).

შვილი დავით ოჯახით და ნათესავებით იუწყება **ირაკლი დავითის-ძე იანქოშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 8 ს. გამოსვენება 26-I, 4 ს. რუსთაველის პროსპ. № 44.

შვილები დავით, ვერა, იულია ოჯახებით იუწყებიან **აკაკი ალმასხანის-ძე ნიკოლეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-I, 8 ს. საბჭოს ქ. № 210. დაკრძალვა 26-I სოფელ ვანში (ვანის რაიონი).

შვილი კალისტრატე ოჯახით იუწყება **მარიამ ბეკოს ასულ ჭანტურია-შარტავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-I სოფელ ზემო ქვალოსში (ხობის რაიონი). გამოსვენება ქ. ცხაკაია, გეგეჭკორის ქ. № 11.

შვილი მერაბ, და ლეო, დონა, ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან **პეტრე ივანეს-ძე ჩახუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-I, 7 ს. გამოსვენება 26-I, 4